# საზოგადოებრივი ადვოკატი

№ 3
29 აპრილი
2010

იურიდიული დახმარების სამსახური – მთელი საქართველოსთვის


### ქუთაისის ბიუროს ადვოკატებმა 2010 წელს უკვე 537 საქმეში მიიღეს მონაწილეობა



4 გვ.

### კონკურსი სტუდენტებისთვის

იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსი მომავალ იურისტებს ხვდება



3 გვ.

### საზოგადოებრივი ადვოკატი პასუხობს თქვენს შეკითხვებზე

3 გვ.

### იურიდიული დახმარების სამსახური

- სისხლის სამართლის საქმეზე უფასო საადვოკატო მომსახურება გადახდის უუნარო მოსახლეობისათვის;
- უფასო იურიდიული კონსულტაციები სამართალწარმოების ნებისმიერ დარგზე - სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავები; საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის ფარგლებში იურიდიული დოკუმენტების მომზადება;
- იურიდიული დახმარების ბიუროები მთელი საქართველოს მასშტაბით: თბილისში, თელავში, მცხეთაში, რუსთავში, გორში, ზესტაფონში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმში, ამბროლაურში, ოზურგეთში, ახალციხეში.

# სამცხე-ჯავახეთში იურიდიული დახმარების ბიურო ამოქმედდა

**ახალციხეში იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიურო გაიხსნა. გახსნის ცერემონია 22 აპრილს, ხუთშაბათს გაიმართა. ბიურო ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების მოსახლეობას უფასოდ მოემსახურება. იურიდიული დახმარების ბიუროს გახსნას სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრი ხათუნა კალმახელიძე, გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი - ჯეიმი მაკგოლდრიკი და იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი - ირაკლი კობიძე ესწრებოდნენ.**




დღეიდან ექვსი საზოგადოებრივი ადვოკატი და კონსულტანტი ყველა სახის სამართლებრივ კონსულტაციას გაუწევს რეგიონის მოქალაქეებს, იურიდიული დოკუმენტების შედგენაში დაეხმარება და სისხლის სამართლის საქმეებზე საადვოკატო მომსახურებასაც უზრუნველყოფს. იურიდიული დახმარების სამსახურის მიზანია უფასო და კვალიფიციური დახმარება აღმოუჩინოს სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს. სამართლებრივ კონსულტაციებთან ერთად ეს სისხლის სამართლის საქმეებზე საადვოკატო მომსახურებასაც მოიცავს.

სასჯელაღსრულების მინისტრის, ხათუნა კალმახელიძის თქმით, ახალციხეში იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროს ამოქმედებით სამინისტროს საშუალება ექნება უფრო მეტად დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, მათ, ვისაც იურიდიული დახმარება ესაჭიროება და ამის საშუალება არ აქვს.

სამცხე-ჯავახეთში იურიდიული დახმარების ბიუროს ამოქმედება დაგეგმილი იყო „იურიდიული დახმარების სამსახურის მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც გაერო-ს განვითარების პროგრამა ახორციელებს. პროექტის პრიორიტეტებს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში უფასო სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის ზრდა, საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული განვითარება, უფასო იურიდიული დახმარების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადმინისტრაციულ საქმეებზე უფასო საადვოკატო მომსახურების დანერგვის ხელშეწყობა წარმოადგენს.

„იურიდიული დახმარების სამსახურის მხარდაჭერის“ პროექტი გასული წლის მაისიდან ხორციელდება. ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებრივი ადვოკატებისათვის არაერთი ტრეინინგი, მათ შორის, სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის საკითხებზეც ჩატარდა. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში მედია კამპანიაც მიმდინარეობს, რაც იურიდიული დახმარების სამსახურისადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცებას ემსახურება.

# „საზოგადოებრივი ადვოკატის“ პროფესიული საქმიანობის სტანდარტები

## ახალი დებულებები იურიდიული დახმარების სამსახურში



***იმისათვის, რომ ისარგებლო ადვოკატის სახელით, გარდა იურიდიული განათლებისა და საადვოკატო სერთიფიკატისა, ყველა ადვოკატი ვალდებულია დაემორჩილოს და დაიცვას „პროფესიული ეთიკის კოდექსი“, რომელიც თავად ადვოკატებმა შეიმუშავეს. მიუხედავად ამისა, როგორც ბოლო წლების ანალიზიდან ირკვევა, მომრავლდნენ ადვოკატები, რომლებიც პროფესიული ეთიკის სტანდარტებს ღალატობენ და ამისთვის, უფრო მძიმე სასჯელზე რომ არაფერი ვთქვათ, თავად კოლეგების დასჯის ობიექტებიც ხდებიან. რა სიტუაციაა ამ მხრივ იურიდიული დახმარების სამსახურში? რას გულისხმობს საზოგადოებრივი ადვოკატის პროფესიული საქმიანობის სტანდარტები? რამდენად დაცულია იურიდიული დახმარების სამსახურის კლიენტი არაკეთილსინდისიერი ადვოკატებისგან? ამ კითხვებზე პასუხის გაგება იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგისა და ანალიზის დეპარტამენტის იურისტის გიორგი გიორგაძისგან ვცადეთ. მისი ინფორმაციით, მათი სამსახურის არც ერთი ადვოკატი „ადვოკატთა ეთიკის კოდექსის“ დარღვევაში დღემდე არ არის მხილებული. ამის მიზეზი კი, გიორგაძის თქმით, საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიონალიზმთან ერთად, პროფესიული სტანდარტების დაცვაა.***

*გაგრძელება 2 გვ.*

## სტუდენტური ნაშრომების კონკურსი

15/04/2010

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და იურიდიული დახმარების სამსახური აცხადებენ საკონფერენციო ნაშრომების კონკურსს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლის სტუდენტებისთვის თემაზე: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა დემოკრატიულ საზოგადოებაში და საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახური.

ნაშრომები უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელ. მისამართზე: LegalAid.Conference@gmail.com ელფოსტის ეს მისამართი დაცულია უსარგებლო წერილებისგან, მის სანახავად Javascript უნდა ჩაირთოს.

წარდგენის ბოლო ვადა: 10 მაისი 2010. ბოლო ვადის გასვლის შემდეგ მიღებული ნაშრომები კონკურსზე არ დაიშვება.

**1. მოთხოვნები მონაწილეთათვის:**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლის სტუდენტებს. არ დაიშვებიან ის სტუდენტები, რომლებიც დასაქმებულები არიან იურიდიული დახმარების სამსახურში (გამონაკლისია იურიდიული კლინიკების საქმიანობაში მონაწილე სტუდენტები).

**2. მოთხოვნები ნაშრომისადმი:**

კონკურსის მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შინაარსობრივ, აკადემიურ და ტექნიკურ მოთხოვნებს.

2.1 ნაშრომით მოცული უნდა იქნეს მსჯელობა და ანალიზი შემდეგ საკითხებზე (ჩამონათვალი ამომწურავი არაა):

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და დაცვის უფლება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით;

კანონმდებლობა საქათველოში იურიდიული დახმარების შესახებ და იურიდიული დახმარების სამსახურის პრაქტიკა;

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის, დაცვის უფლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციები.

2.2 წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალური ნამუშევარი, რომელიც არ ყოფილა მანამდე გამოქვეყნებული და უნდა შეადგენდეს ავტორის ნააზრევს. სხვა ავტორთა მოსაზრებები უნდა იყოს პერიფრაზირებული ან ბრჭყალებში ჩასმული და ორივე შემთხვევაში სათანადოდ ციტირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში დადგინდება პლაგიატი და მონაწილე კონკურსს გამოეთიშება. ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს აკადემიური მართლწერის წესებს: პასუხობდეს თემას, სტრუქტურულად შედგებოდეს შესავალი, განმხილველი და დასკვნითი ნაწილებისგან, ეფუძნებოდეს ციტირების ერთგვაროვან სისტემას, თან ერთვოდეს ბიბლიოგრაფია.

2.3 ნაშრომი შედგენილი უნდა იქნეს ელექტრონულად, გავრცელებულ ფონტში. სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა არის 4 000 (სქოლიოებისა და ბიბლიოგრაფიის გარეშე). ნაშრომის თავფურცელზე აღნიშნული უნდა იყოს: სტუდენტის სახელი, გვარი, სტუდენტის ნომერი, პირადობის მოწმობის პირადი ნომერი, ფაკულტეტი, კურსი, უნივერსიტეტი, საკონტაქტო მონაცემები.

2.4 ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ნაშრომი მოიხსნება კონკურსიდან.

**3. კონკურსის ტურები:**

3.1 კონკურსი იყოფა ორ ტურად. პირველ ტურში შეირჩევა ნაშრომები, რომლებიც აკმაყოფილებენ მონაწილეებისა და ნაშრომებისთვის დაწესებულ ზოგად მოთხოვნებს. შერჩეული ნაშრომების ავტორები მიიღებენ საკონფერენციო ნაშრომების კონკურსში მონაწილეობის დამადასტურებელ სერთიფიკატებს.

3.2 მეორე ტურში შეირჩევა სამი საუკეთესო ნაშრომი, რომლის ავტორები მიიღებენ გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაწესებულ ჯილდოებს.

3.3 დამატებით გამოცხადდება კონფერენციის თარიღი, რომელზეც მიიწვევენ პირველ ტურში შერჩეულ სტუდენტებს. მათ გადაეცემათ სერთიფიკატები. სამი საუკეთესო ნაშრომის ავტორებს გადაეცემათ ჯილდოები. მოეწყობა სამი საუკეთესო ნაშრომის პრეზენტაცია.

**4. შეფასების კრიტერიუმი და კომისია:**

4.1 პირველ ტურში ნაშრომები გაიცხრილება მიმღები კომისიის მიერ მონაწილეებისა და ნაშრომებისთვის დაწესებული ზოგადი მოთხოვნების საფუძველზე.

4.2 მეორე ტურში ნაშრომებს აფასებს კვალიფიციური კომისია, შემდგარი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იურისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან. კომისია უპირატესობას მიანიჭებს სამ ნამუშევარს, რომელიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებს მე-2 პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს და მე-5 პუნქტში დასახულ მიზნებს, გამოირჩევა ორიგინალური და ღრმა მსჯელობით, სამეცნიერო კვლევის მასშტაბებით და შეუძლია წვლილი შეიტანოს საქართველოში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის, დაცვის უფლებისა და იურიდიული დახმარების შესახებ მეცნიერულ განხილვაში.

**5. კონკურსის მიზნები:**

სტუდენტებში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის, დაცვის უფლებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ ცნობიერების ამაღლება,

სტუდენტებს შორის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის, დაცვის უფლებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ დისკუსიის ხელშეწყობა.

# „საზოგადოებრივი ადვოკატის“ პროფესიული საქმიანობის სტანდარტები

*პირველი გვერდიდან*

**– ბატონო გიორგი, რას ნიშნავს „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“ და რამდენად მნიშვნელოვანია მისი დაცვა ნებისმიერი ადვოკატისთვის?**

– ადვოკატთა ასოციაციას შემუშავებული აქვს „ეთიკის კოდექსი“ და ყველა ადვოკატი, სადაც არ უნდა მუშაობდეს იგი, კერძო ადვოკატურაში თუ იურიდიული დახმარების სამსახურში, ვალდებულია იმოქმედოს ამ კოდექსის შესაბამისად. ეთიკის კოდექსის თანახმად, ადვოკატებმა მოქალაქეებს უნდა გაუწიონ არა მარტო იურიდიული დახმარება, არამედ ეს დახმარება უნდა იყოს, რაც შეიძლება კვალიფიციური და ხარისხიანი. ეს კოდექსი ადგენს ადვოკატის დამოუკიდებლობას, კლიენტის ინტერესის პრიორიტეტულობას, იმას, რომ დაუშვებელია ინტერესთა კონფლიქტი, არეგულირებს როგორც ადვოკატის და კლიენტის ურთიერთობას, ასევე ადგენს დაცვის ურთიერთობას მოსამართლეებთან, პროკურორებთან და თავად მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატებთან. ანუ, ეს არის ზოგადი დოკუმენტი, რომლის დაცვაც სავალდებულოა. შესაბამისად, თუ ადვოკატი თავის საქმიანობისას არ იცავს ზოგადი ეთიკის კოდექსს, იგი არღვევს სავალდებულო წესს, რის გამოც დგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი.

ადვოკატთა პასუხისმგებლობის საკითხს კი წყვეტს და ადგენს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია. კომისიას შეუძლია მიმართოს ნებისმიერმა მოქალაქემ, რომელიც თვლის, რომ საადვოკატო მომსახურებისას მისი უფლებები დაირღვა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მიერ ეთიკის დარღვევის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქე სარგებლობს საზოგადოებრივი ადვოკატით და მას გააჩნია გარკვეული პრეტენზია, შეუძლია, უშუალოდ მიმართოს იურიდიული დახმარების სამსახურის სათაო ოფისს, რომელიც მდებარეობს რუსთაველის გამზირი №30-ში. ანალიზის და მონიტორინგის სამმართველო შეისწავლის საქმეს და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, დამერწმუნეთ, მოქალაქის განცხადება რეაგირების გარეშე არ დარჩება. ჩვენი სამსახური ძირითადად იყენებს შრომით ურთიერთობიდან გამომდინარე სანქციებს, ეს არის გაფრთხილება, ხელფასის დაქვითვა, ჯარიმა, ყველაზე მძიმე შემთხვევაში კი სამსახურიდან დათხოვნა. იურიდიული დახმარების სამსახურს ადვოკატის საქმიანობის შეწყვეტის უფლება არ აქვს, ეს მხოლოდ და მხოლოდ ადვოკატთა ასოციაციის პრეროგატივაა.

**– მიუხედავად იმისა, რომ თქვენი სამსახურის ადვოკატები ამავდროულად ადვოკატთა ასოციაციის წევრები არიან, იურიდიული დახმარების სამსახურს, თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, სხვა ადვოკატებისგან განსხვავებული სპეციფიკა აქვს. აქედან გამომდინარე, არსებობს თუ არა შიდა სამსახურებრივი ნორმები, რომელთა დაცვას საზოგადოებრივი ადვოკატებისთვის ასევე სავალდებულოა?**

– მოგეხსენებათ, იურიდიული დახმარების სამსახური ასრულებს სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებას სოციალურად დაუცველი ფენებისთვის უფასო იურიდიულ დახმარებაზე. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ვემსახურებით მოსახლეობის ძალიან დიდ კონტიგენტს, რისთვისაც მთელი ქვეყნის მასშტაბით გვაქვს ბიუროები, ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება კვალიფიციური იყოს ეს მომსახურება და მოსახლეობის ამ ფენამ დაცულად იგრძნოს თავი. ამ მიზნის მიღწევა კი მხოლოდ პროფესიონალი ადვოკატებით არის შესაძლებელი. სწორედ ამიტომ, იურიდიული დახმარების სამსახურში დაიწყო ახალი პროცესები, რომელიც ადვოკატთა საქმიანობის პროფესიული სტანდარტების შემუშავებას გულისხმობს. ჩვენ უკვე შევქმენით „საზოგადოებრივი ადვოკატის პროფესიული საქმიანობის სტანდარტები“, რომელიც ადვოკატთა ეთიკის კოდექსისგან განსხვავებით, უფრო დეტალურად და თანმიმდევრულად განსაზღვრავს ადვოკატის ქცევის წესებს, როგორც ზოგად საქმიანობაში, ასევე კონკრეტულ სიტუაციაში. ვიდრე ამ დოკუმენტზე დავიწყებდით მუშაობას, პრაქტიკული მოღვაწეობისას ვაკვირდებოდით საზოგადოებრივ ადვოკატთა მუშაობას და სწორედ, აქედან გამომდინარე, განვსაზღვრეთ პრიორიტეტები. დარწმუნებულები ვართ, რომ ამ გზით კიდევ უფრო ხარისხიანი გახდება იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურების სერვისი. „საზოგადოებრივი ადვოკატის პროფესიული საქმიანობის სტანდარტებზე“ მუშაობა თითქმის დასრულებულია. ეს დოკუმენტი მთლიანად მორგებულია დასაცავი პირის მომსახურებაზე და მაქსიმალურად არის გათვალისწინებული კლიენტის ინტერესები.

და კიდევ ერთი, ამ დოკუმენტში იმდენი სასარგებლო მიგნებები და მინიშნებებია, რომ იგი, ფაქტობრივად, ნებისმიერი ადვოკატისთვის სახელმძღვანელო იქნება, განსაკუთრებით დამწყები ადვოკატებისთვის.

**– კონკრეტულად რა სიახლეებს სთავაზობს „საზოგადოებრივი ადვოკატის პროფესიული საქმიანობის სტანდარტები“ იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებს?**

– მართალია, „საზოგადოებრივი ადვოკატის პროფესიული საქმიანობის სტანდარტები“ ძირითადად, იმეორებს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსში ჩადებულ დებულებებს და დადგენილ ნორმებს, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი უფრო ფართო და დეტალურია. კერძოდ, ახალ დებულებაში მკვეთრად არის გაწერილი, რომ ადვოკატს უნდა ჰქონდეს სათანადო დრო და საშუალება, რათა კარგად მოამზადოს საქმის დეტალები; როგორ უნდა გამოიყენოს კანონით მინიჭებული ხერხი და საშუალებები დაცვის განხორციელების დროს; როგორ და რა შემთხვევაში გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილებები; დოკუმენტში თანმიმდევრულად იქნება გაწერილი რა სახის შუამდგომლობები უნდა დააყენოს ადვოკატმა და ასე შემდეგ.

სხვათა შორის, ამ დოკუმენტზე მუშაობა დახურული პროცესი არ ყოფილა. ჩვენ შევეცადეთ ამ პროცესში ჩართულიყო იურიდიული დახმარების ყველა ადვოკატი და გამოეთქვა საკუთარი მოსაზრებები თუ შენიშვნები. „საზოგადოებრივი ადვოკატის პროფესიული საქმიანობის სტანდარტები“ უკვე შეთანხმებული და შეჯერებულია, როგორც თვითოეულ ადვოკატთან, იგულისხმება რეგიონალური ბიუროებიც, ასევე სამმართველოში და იგი ყველა მხრიდან მოწონებულია.

**– იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმძღვანელობა საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიონალიზმში გარკვეულ დეფიციტს ხომ არ გრძნობდა და ამიტომ ხომ არ გახდა საჭირო დამატებითი სტანდარტების შემუშავება?**

– ვერ დაგეთანხმებით. სამსახურში პროფესიონალიზმის დეფიციტი ნამდვილად არ შეიმჩნევა. პირიქით, მოგეხსენებათ, იურიდიული დახმარების სამსახური 2007 წელს შეიქმნა და ამ ხნის განმავლობაში მან უკვე შეძლო ფეხი აეწყო იმ თანამედროვე პროცესებისთვის და მიღწევებისთვის, რაც არის მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში. ნებისმიერ ცივილურ სახელმწიფოში, ორგანიზაცია, რომლის მიზანიც არის მომსახურების გაუმჯობესება, პირველ რიგში ქმნის თავისი საქმიანობის სტანდარტებს, რომლის დაცვაც მისი თანამშრომელბისთვის სავალდებულოა. ჩვენი მიზანიც სწორედ ეს იყო და ამიტომ, გაჩნდა სურვილი, რომ შექმნილიყო შიდა ქცევის კოდექსი. მით უმეტეს, ჩვენი სამსახურის სტანდარტები ადვოკატთა ეთიკის კოდექსთან წინააღმდეგობაში არ მოდის - პირიქით, ეს არის ამოსავალი წერტილი.

**– რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, იურიდიული დახმარების სამსახურში ინერგება ადვოკატთა მუშაობის შეფასების სისტემა?**

– „საზოგადოებრივი ადვოკატის პროფესიული საქმიანობის სტანდარტები“ ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია იმ კომპლექსური ღონისძიებებისა, რომლებიც საბოლოო ჯამში მოწოდებულია, რომ ადვოკატის მუშაობის ხარისხი იყოს მაღალი. ერთ-ერთი მომდევნო ნაბიჯი იქნება ადვოკატის საქმიანობის შეფასება. ნებისმიერ ორგანიზაციაში მხოლოდ დასჯის მექანიზმების არსებობა დადებით შედეგს ვერ იძლევა. ამიტომ, ჩვენი მიზანია, წავახალისოთ ის ადვოკატები, რომლებიც სხვაზე უკეთ მუშაობენ და აღწევენ წარმატებას, რათა შემდგომში, კიდევ უფრო მეტად მოხდეს მათი მოტივაცია. როდესაც ადვოკატები ხედავენ, რომ ყველა თანაბარ პირობებშია და მათი თავდადება არ აისახება მათ პირობებზე, ისინიც დემოტივირებულები ხდებიან - ეს ცნობილია ფაქტია. აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანია წარმატებული ადვოკატების წახალისება, რითაც კიდევ უფრო გავზრდით არა მარტო ცალკეული ადვოკატის, არამედ მთლიანად სამსახურის მუშაობის ხარისხს. წახალისება, შეიძლება იყოს ფულადი სახით ან სხვა საშუალებით.

მეორეს მხრივ, შეფასების სისტემის ამოქმედებისას, აშკარად გამოვლინდება სხვა ადვოკატების წარუმატებლობის მიზეზი და ჩვენ გავაკეთებთ ანალიზს, რა კუთხით არის საჭირო მათი განვითარება. შეიძლება საჭირო იყოს ტრენინგები, ან სხვა სახის პროფესიული მომზადება და ასე შემდეგ. მოკლედ, იურიდიული სამსახურის განვითარებას კომპლექსურად ვუდგებით.

**– ბატონო გიორგი, თქვენ ხართ მონიტორინგის და ანალიზის სამსახურის იურისტი, რომელიც, ფაქტობრივად, აკონტროლებს თანამშრომელთა საქმიანობას. თუ მოგმართავენ მოქალაქეები ამა თუ იმ ადვოკატის მიმართ საჩივარით და რა რეაგირებას ახდენთ?**

– საბედნიეროდ, მინდა გითხრათ, რომ ჩვენი სამსახურის არსებობის მანძილზე, უკმაყოფილო მოქალაქეთა რაოდენობა ძალიან ცოტაა. ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ორი თუ სამი შემთხვევა იყო, როდესაც დასაცავ პირს გარკვეული პრეტენზია ჰქონდა. საქმის განხილვისას ვცდილობთ, ორივე მხარის არგუმენტები მოვისმინოთ და შევაფასოთ, რადგან ვალდებულები ვართ დავიცვათ, როგორც კლიენტის, ასევე ჩვენი ადვოკატის ინტერესები. საქმის შესწავლისას მივხვდით, რომ ელემენტარულ გაუგებრობამდე მივდიოდით და ადვოკატის მხრიდან რეალურ დარღვევებს ადგილი არ ჰქონდა. მოგეხსენებათ, მოქალაქეები ცდილობენ მაქსიმალური მოგება მიიღონ, მაგრამ ამ სფეროში ყოველთვის ვერ მიიღწევა სასურველი შედეგი. ამიტომ, მოქალაქეებს მივეცით სათანადო ახსნა-განმარტებები, რაც მათთვის სრულიად გასაგები აღმოჩნდა და აღარ გაუგრძელებიათ დავა. თუმცა, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ადვოკატისთვის გარკვეული სახის მითითებები მიგვიცია, მაგრამ ეთიკის ნორმების სერიოზული დარღვევის ფაქტები ჩვენს სამსახურში აქამდე არ დაფიქსირებულა.

**– დღეს უკვე არავინ დავობს, რომ თქვენი სამსახური არა მარტო პოპულარული, არამედ წარმატებულია. როგორც მონიტორინგის და ანალიზის სამსახურის იურისტი, რითი ახსნით ამ წარმატებას?**

– იურიდიული დახმარების სამსახური რომ ერთ-ერთი წარმატებული პროექტია საქართველოში, ამის უპირველესი დასტურია ის, რომ ყოველდღიურად იზრდება იმ მოქალაქეების რაოდენობა, რომლებიც დასახმარებლად მოგვმართავენ. ფაქტია, მოსახლეობაში ამ სამსახურის მიმართ მაღალი ნდობის ხარისხი არსებობს. ჩვენი აზრით, ამის მთავარი მიზეზია, ადვოკატათა პროფესიონალიზმი და ის, რომ იგი არის სახელმწიფო სტურქტურა. ყოველწლიურად საზოგადოებრივი ადვოკატების მომსახურებით დაახლოებით 10-12 ათასი ადამიანი სარგებლობს, როგორც სისხლის სამართლის საქმეებზე, ასევე კონსულტაციებით - სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებზე.

# კონკურსი სტუდენტებისთვის

## იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსი მომავალ იურისტებს ხვდება

***თსუ, თავისუფალი უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი - ეს იმ უმაღლესი სასწავლებლების ჩამონათვალია, რომელთა იურიდიული მიმართულების სტუდენტებსაც იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმძღვანელი ირაკლი კობიძე გასული თვის მანძილზე შეხვდა და იურიდიული დახმარების არსისა და სტუდენტებისთვის გამოცხადებული კონკურსის დეტალებზე ესაუბრა.***

იურიდიული დახმარების სამსახურისა და გაეროს განვითარების პროგრამის ორგანიზებით 2010 წლის აპრილში გამოცხადდა სტუდენტური ნაშრომების კონკურსი სახელწოდებით „დემოკრატიულ საზოგადოებაში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახური“. კონკურსი მიზნად ისახავს სამართალმცოდნეობის სტუდენტებში დაცვის უფლების შესახებ დისკუსიის ხელშეწყობას. კონკურსში მონაწილეობის მიღება საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლის სტუდენტებს შეუძლიათ. სწორედ ამ კონკურსზე, იურიდიული დახმარების ფუნქციონირების არსზე და ზოგადად - ქვეყანაში დაცვის უფლების უზრუნველყოფა გახლავთ სტუდენტებთან გამართული შეხვედრების მთავარი თემა.

ირაკლი კობიძის ინფორმაციით, კონკურსი იყოფა ორ ტურად. პირველ ტურში შეირჩევა ნაშრომები, რომლებიც მონაწილეებისა და ნაშრომებისთვის დაწესებულ ზოგად მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. შერჩეული ნაშრომების ავტორები საკონფერენციო ნაშრომების კონკურსში მონაწილეობის დამადასტურებელ სერთიფიკატებს მიიღებენ. მეორე ტურში შეირჩევა სამი საუკეთესო ნაშრომი, რომლის ავტორები გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაწესებულ ჯილდოებს მიიღებენ. საკონკურსო ნაშრომების მიღება 10 მაისს დასრულდება.

უნივერსიტეტებში ორგანიზებული შეხვედრების ფარგლებში ირაკლი კობიძემ სტუდენტებს იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის დეტალები და სამომავლო გეგმებიც გააცნო. გაეროს განვითარების პროგრამის სამართლებრივმა ექსპერტმა - ნანა მჭედლიძემ კი ვრცლად ისაუბრა იმ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ ნორმებზე, რომლებიც დაცვის უფლებით სარგებლობას არეგულირებენ. შეხვედრები სტუდებთებთან გაეროს განვითარების პროგრამისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზებით ტარდება. შემდეგი შეხვედრა კავკასიის სამართლის სკოლაში გაიმართება.



შეხვედრა თსუ-ში



შეხვედრა თავისუფალ უნივერსიტეტში



შეხვედრა საქართველოს უნივერსიტეტში



შეხვედრა ილიას უნივერსიტეტში

# ირაკლი ბურდული: „კონკურსი ხელს შეუწყობს ფაკულტეტის სტუდენტებში იურიდიული აზროვნების განვითარებას

***თსუ იურიდიული ფაკულტეტი ერთ-ერთია იმ ფაკულტეტებს შორის, რომლის სტუდენტებიც გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას. იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმძღვანელმა ირაკლი კობიძემ, თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ირაკლი ბურდულის მასპინძლობით, უკვე გამართა შეხვედრა სტუდენტებთან და მათ არაერთ კითხვასაც უპასუხა. რამდენად მნიშვნელოვანია მსგავსი კონკურსები სტუდენტებისთვის? როგორ თანამშრომლობს ფაკულტეტი და იურიდიული დახმარების სამსახური? - ამის გასარკვევად „საზოგადოებრივი ადვოკატი“ ფაკულტეტის დეკანს ირაკლი ბურდულს ესაუბრება:***

**- ბატონო ირაკლი, რა დატვირთვა აქვს და რამდენად მნიშვნელოვანია ამ სახის კონკურსები სტუდენტებისთვის?**

- ნებისმიერი კონკურსი და ნებისმიერი გამოვლენა, რაც აკადემიურ სტანდარტებს უკავშირდება, ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. იურიდიული დამარების სამსახურისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის მიერ შემოთავაზებული კონკურსი ხელს შეუწყობს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებში იურიდიული აზროვნების კიდევ უფრო განვითარებას და ჩამოყალიბებას. აკადემიური სტანდარტის თვალსაზრისით, ეს კონკურსი სტუდენტებში სამეცნიერო კუთხით აზროვნების განვითარებასაც წაადგება. მოხდება კონკურსში მონაწილე სტუდენტების ნაშრომების სელექცია. ბუნებრივია, ასი ნაშრომიდან ასივე ვერ იქნება იმ მოთხოვნების შესაბამისი, რასაც კონკურსის ავტორები სთავაზობენ სტუდენტებს. შესაბამისად, მოხდება ნამუშევრების შერჩევა.

სტიპენდიების გაცემისას ძალიან დიდი ნიშვნელობა ენიჭება მათი მხრიდან სხვადასხვა აქტივობას. ბუნებრივია, სტიპენდიის დანიშვნისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტის მოსწრების მაჩვენებლებს, ანუ ნიშნებს, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია სტუდენტის აქტიურობაც სხვადასხვა სახის ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონკურსსა თუ კონფერენციაში.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად აქტიურები იქნებიან იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები ამ შემთხვევაში. რამდენად დაინტერესდებიან და მიიღებენ ამ პროექტში მონაწილეობას?**

- ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტების მხრიდან აქტივობა ყოველთვის არის. ძალიან ბევრი სტუდენტი იღებს მონაწილეობას სხვადასხა კონკურსში. კონკურსებსა და პროექტებში, ძირითადად, ის სტუდენტები იღებენ მონაწილეობას, რომლებმაც უკვე გაიარეს პირველი და მეორე კურსი და სამართლებრივი ცოდნის რაღაც ბაზისი აქვთ, უკვე აზროვნებენ სამართლებრივად და შეუძლიათ, ამა თუ იმ კონკრეტული საკითხიდან გამოყონ აქტუალური პრობლემა და ეს პრობლემა დაამუშავონ. იურიდიული ფაკულტეტის რამდენ სტუდენტს აქვს ამ კონკურსში მონაწილეობის სურვილი, ზუსტი რაოდენობა ჯერჯერობით არ ვიცი, თუმცა, ვიცი, რომ იურიდიული დახმარების სამსახურისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის მეირ გამოცხადებული კონკურსი მათში დიდ ინტერესს იწვევს. დარწმუნებული ვარ, ისინი ამ შემთხვევაშიც აქტიურები და მონდომებულები იქნებიან.

სხვათა შორის, იურიდიული დახმარების სმსახურში ჩვენ გვაქვს იურიდიული კლინიკა. იურიდიული დახმარების სამსახური ჩვენი პარტნიორია, მემორანდუმი გვაქვს გაფორმებული და მინდა გითხრათ, რომ სემესტრი არ გავა, რომ ამ სამსახურმა ჩვენი ერთი-ორი სტუდენტი არ დაიტოვოს. ჩვენი სტუდენტები გადიან ამ იურიდიულ კლინიკაში პრაქტიკას და საუკეთესოებს იქ იტოვებენ.

**- როგორ შეაფასებს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი იურიდიული დახმრების სამსახურის ფუნქციონირებას? თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანი და საჭიროა ამ სამსახურის არსებობა ქვეყანაში?**

- იურიდიული დამარების სამსახურის არსებობა აქტუალურია ქვეყანაში. საქართველო არის სოციალურად ღარიბი ქვეყანა. სოციალური სიდუხჭირე აშკარად იგრძნობა ქვეყანაში და სწორედ გაჭირვებულ ადამიანებს უწევენ სამართლებრივ დახმარებას ამ სამსახურის თანამშრომლები. სასამართლოში შეტანილი სარჩელი პერსპექტივიანი არ იქნება, თუკი მოსარჩელეს კარგი ადვოკატი არ გაუწევს კვალიფიციურ იურიდიულ დახმარებას. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ყველას აქვს, მაგრამ გააჩნია, ხარისხს - როგორ მიმართავ. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები დიდი წარმატებით ასრულებენ საქმეებს. და ყველას აძლევენ საშუალებას, საკუთარი უფლებები დაიცვან. ასეთი სამსახურები არსებობს არა მარტო ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ ქვეყნებში, არამედ, ევროპის განვითარებულ ქვეყნებშიც. ასე რომ, პოლიტიკური თავალსაზრისით, იურიდიული დახმარების სამსახურის არსებობა და მისი გამართულად მუშაობა ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. მისი არსებობის აუცილებლობა ქვეყანაში ნამდვილად არსებობს.

## თქვენი ადვოკატი

***1. მყავს სრულწლოვანი შვილი, რომელიც ცხოვრობს ჩემთან ჩემს კუთვნილ საცხოვრებელ სახლში. იგი სახელმწიფოს სასარგებლოდ დაჯარიმებული არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმით 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული ჯარიმა მას გადახდილი არ აქვს, რის საფუძველზეც ჩემს კუთვნილ საცხოვრებელ სახლში მოვიდა სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელი, რომელმაც დააყადაღა ჩემს პირად საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთები და შეადგინა შესაბამისი აქტი. დღესდღეობოთ აღნიშნულ ნივთებს ემუქრება აუქციონის წესით რეალიზაცია. როგორ უნდა ვიმოქმედო, რომ ჩემ პირად საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთების რიალიზაცია არ მოხდეს აუქციონის წესით, ან თუ შეიძლება აღმასრულებლის მიერ ყადაღადადებული ნივთების აუქციონის წესით რეალიზაციის შეჩერება?***

თუ აღნიშნული ნივთები თქვენი საკუთრებაა, სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის მიერ დაყადაღებული მოძრავი ნივთების ყადაღისაგან გამოთავისუფლებასთან დაკავშირებით სარჩელით უნდა მიმართოთ სასამართლოს.

ამასთანავე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის I ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო აღსრულებას აჩერებს სარჩელის წარდგენისას იმ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ, რომელზედაც მიქცეულია აღსრულება - სადავო ქონებაზე აღსრულების ნაწილში და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე. აგრეთვე, აღმასრულებელს შეუძლია მოვალის განცხადების საფუძველზე ყადაღადადებული ნივთების რეალიზაცია დროებით შეაჩეროს გადახდის განვადებით, კრედიტორის თანხმობით, თუკი ეს მოვალის პიროვნებისა და ეკონომიკური მდგომარეობისთვის დასაშვებ მოქმედებად იქნება მიჩნეული და კრედიტორის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. შესაბამისი განკარგულებანი შეიძლბა რამდენჯერმე გაიცეს, მაგრამ რეალიზაცია არ შეიძლება გადაიდოს ყადაღის დადების შემდეგ სამ თვეზე მეტი ვადით.

***2. მეზობელთან წლების მანძილზე მქონდა უთანხმოება, მან შურისძიების გამო პოლიციას წერილობითი განცხადებით მიმართა, სადაც უთითებდა, რომ ვითომდა მე მეზობელი სოფლის ერთ-ერთ მაცხოვრებელს საცხოვრებელი სახლიდან მოვპარე ძვირფასი ნივთები. აღნიშნულ განცხადებაზე პოლიციამ დაიწყო გამოძიება და დადგინდა ჩემი უდანაშაულობა. დასჯადია თუ არა ჩემი მეზობლის მოქმედება?***

თქვენი მეზობლის მოქმედება განეკუთვნება დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენას და წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს.

აღნიშნული მუხლით დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენა ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით - ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით - ერთიდან ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით, ვადით ოთხ წლამდე.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენა, თუ მას ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში, ანდა ბრალდების მტკიცებულების ხელოვნურად შექმნა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით, ორიდან ოთხ წლამდე, ხოლო ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება: ა) ჩადენილი ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით; ბ) რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით, ოთხიდან ექვს წლამდე.

***3. სასამართლოს გადაწყვეტილებით საცხოვრებელ სახლში შევსახლდი, მომენიჭა საცხოვრებელი სახლის ფლობისა და სარგებლობის უფლება. მეც შესაბამისად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში კეთილსინდისიერად ვფლობდი და ვსარგებლობდი ამ სახლით. შემდეგ მესაკუთრემ ფიზიკური ძალის გამოყენებით მაიძულა დამეტოვებინა აღნიშნული საცხოვრებელი სადგომი. მაქვს თუ არა საცხოვრებელ სახლში ცხოვრების უფლება და რა გზით დავიბრუნებ აღნიშნულ უფლებას?:***

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლის თანახმად, თუ კეთილსინდისიერ მფლობელს ჩამოერთმევა მფლობელობა, მას 3 წლის განმავლობაში შეუძლია ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება მოსთხოვოს. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა ახალ მფლობელს აქვს მფლობელობის უკეთესი უფლება. მფლობელობის სარჩელით მიმართვის შემთხვევაში, სასამართლომ ცნოს ნივთის მესაკუთრედ? უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკეთესი უფლების მქონე პირის მიმართაც, თუკი მან ნივთი მოიპოვა ძალადობის ან მოტყუების გზით. აღნიშნული უფლების დაბრუნება შესაძლებელია სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის გზით.

***4. 9 წლის წინ აუქციონზე შევიძინე ავტომანქანა, მფლობელობაში გადმომეცა იგი და მას შემდეგ, როგორც საკუთარს, ვფლობ და ვსარგებლობ აღნიშნული ავტომანქანით. ვინაიდან აუქციონის ჩატარების შესახებ ოქმი დაკარგულია, ვერ ვახერხებ ავტომანქანაზე ჩემი საკუთრების უფლების რეგისტრაციას. შესაძლებელია თუ არა, რომ სასამართლოსათვის მიმართვის გზით მოვახერხო რეგისტრაცია?***

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 165-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ პირი მოძრავ ნივთს ხუთი წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს, როგორც საკუთარს, მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას. ვინაიდან ავტომანქანა მიეკუთვნება მოძრავ ნივთს, შესაბამისად, სასამართლოში აღიარებითი სარჩელის აღძვრის შემთხვევაში შესაძლებელია ნივთის მესაკუთრედ ცნობა.

***5. არასრულწლოვანი პირის დაკავების შემთხვევაში ვალდებულია თუ არა გამომძიებელი (პროკურორი) შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მისი ოჯახის წევრებს და დადებით შემთხვევაში, რა ვადაში?***

გამომძიებელი (პროკურორი) ვალდებულია არასრულწლოვანი პირის დაკავების შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ აცნობოს მისი ოჯახის რომელიმე წევრს, ან ახლობელს და არა უგვიანეს 3 საათისა არასრულწლოვანი პირის დაკავებიდან.

***6. შეიძლება თუ არა, რომ საპროცესო შეთანხმება დაიდოს პროკურატურასა და ბრალდებულს შორის დაზარალებულის დაუკითხავად და თუ ეს შეიძლება, რა უფლებები აქვს ამ შემთხვევაში დაზარალებულს?***

ბრალდებულთან (განსასჯელთან) საპროცესო შეთანხმების დადებას არ სჭირდება დაზარალებულის თანხმობა. დაზარალებულს არა აქვს უფლება, გაასაჩივროს სასამართლოს განაჩენით დამტკიცებული საპროცესო შეთანხმება, თუმცა ბრალდებულთან (განსასჯელთან) საპროცესო შეთანხმების დადება არ ართმევს დაზარალებულს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სამოქალაქო წესით სასამართლოში სარჩელის აღძვრის უფლებას.

**მოქალაქეების კითხვებზე პასუხები მოამზადეს იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიუროს იურისტებმა.**

## თქვენი მეგზური

*იურიდიული დახმარების სამსახურის მიმართვის წესები:*

* სისხლის სამართლის საქმეზე საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის თხოვნით იურიდიული დახმარების სამსახურს შეგიძლიათ მიმართოთ პირადად, ახლო ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

*ვინ შეიძლება ისარგებლოს საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურებით?*

* კანონით დადგენილი წესით იძულებით დაცვას დაქვემდებარებულმა ყველა დაკავებულმა, ექვმიტანილმა, ბრალდებულმა, მსჯავრდებულმა და დაზარალებულმა.

* იმ დაკავებულმა, ექვმიტანილმა, ბრალდებულმა, მსჯავრდებულმა და დაზარალებულმა, რომელიც ამავე დროს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახის წევრია და მისი სარეიტინგო ქულა შეადგენს: 1) 70 ათასს ან ნაკლებს; 2) 100 ათასს და ნაკლებს, და მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლითაგან ერთ-ერთ კატეგორიას:

ა) იმ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი;

ბ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;

გ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი;

დ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სრულწლოვანი პირი;

ე) მკვეთრად, მნიშვნელოვანად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, თუ შესაძლებლობის შეზღუდვა მიმდინარეობს ბავშვობიდან;

ვ) 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;

ზ) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.

* განსაკუთრებულ შემთხვევებში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს უფლება აქვს თანხმობა განაცხადოს საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნაზე იმ პირისათვის, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთაღნიშნულ კრიტერიუმებს, მაგრამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია და ვერ გაწევს საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

*უფასო იურიდიული კონსულტაცია:*

იურიდიული დახმარების ბიუროებსა და საკონსულტაციო ცენტრებში უფასო იურიდიული კონსულტაციის მიღება შეუძლია საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ პირს ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე, როგორც სისხლის სამართლაზე, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავებისას. კონსულტანტები მოქალაქეებს მისვლის დღესვე მიიღებენ.

საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის ფარგლებში შესაძლებელია იურიდიული დოკუმენტების მომზადება.

იურიდიული დახმარების სამსახურის მისამართებია:
თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: სარაჯიშვილის გამზ. №1, მე-3 სართ
ტელ: 8(32) 623324;

კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: თელავი, ერეკლე II გამზ. №8
ტელ: 8 (250) 71538;

მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №51
ტელ: 8(32) 513873;

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: რუსთავი, ბათუმის ქ. №17,
ტელ: +995(24) 15-77-22

შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
მის.: გორი, ხერხეულიძის ქ. №7
ტელ: 8 (270) 7 88 37

იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს
მის: ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11
ტელ: 8 (292) 40250;

იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: სადგურის მოედანი №3
ტელ: 8 (231) 5-34-11

სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: ზუგდიდი, კოსტავას ქ. №24
ტელ: 8 (215) 53472;

სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №37
ტელ: 8 (293) 43332;

აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო
მის.: ბათუმი, წერეთლის შესახვევი №6
ტელ: 8 (88 222) 31799;

სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: ახალციხე, თაბუკაშვილის №17
ტელ: 891 115571

ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი
მის: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24
ტელ: 895 308847

ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი
მის.: ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1, მე-3 სარ.
ტელ: 8(296) 73824

იურიდიული დახმარების სამსახური
რუსთაველის №30, თბილისი 0146, საქართველო
ტელ: (+995 32) 988493; 932090
ფაქსი: (+995 32) 988493
info@legalaid.ge; www.legalaid.ge

რეგიონი

# ქუთაისის ბიუროს ადვოკატებმა 2010 წელს უკვე 537 საქმეში მიიღეს მონაწილეობა

იმერეთის - ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო ამოქმედდა 2007 წლის ნოემბერში. მისი სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ქუთაისს, ასევე ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ხონის, წყალტუბოსა და ტყიბულის რაიონებს. ბიუროში დასაქმებულია 9 საზოგადოებრივი ადვოკატი, კონსულტანტი და სპეციალისტი. ბიუროს ხელმძღვანელობს გელა სიორდია.

მშრალი სტატისტიკური მონაცემები ასეთია: 2010 წელი - 537 საქმე; 164 კონსულტაცია; 20 სამართლებრივი დოკუმენტი: 2009 წელი - 1850 საქმე; 514 კონსულტაცია; 58 სამართლებრივი დოკუმენტი; 2008 წელი - 2665 საქმე; 325 კონსულტაცია; 62 სამართლებრივი დოკუმენტი; თითოეულ ადვოკატს ყოველთვიურად 30-35 საქმის წარმოება უწევს, რაც, თავისთავად, უზარმაზარი პრაქტიკაა. ბიუროში შესული თითოეული საქმე ინდივიდუალურია და საინტერესო. ამასთან, ყველა მათგანი განსხვავებულია.



# გელა სიორდია „დრომ ბევრი რამ გადააფასა“



*იურიდიული დახმარების სამსახურისადმი ნდობას პირველ რიგში იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატების მაღალი პროფესიონალიზმი და მოტივირებულობა განაპირობებს.*

*გელა სიორდია, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის (ქუთაისის) ბიუროს უფროსი ამბობს, რომ ბიურომ ამ მოკლე დროში შეძლო ნდობის მოპოვება:*

„იურიდიული დახმარების ბიურო სახელმწიფო სტრუქტურაა. ეს ფაქტორი I ეტაპზე დისკომფორტს უქმნიდა საზოგადოების გარკვეულ ნაწილს. მაგრამ დრომ ბევრი რამ გადააფასა. ჩვენი სამსახური არ არის დამოკიდებული კლიენტზე ფინანსური კუთხით. იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატს არ უწევს კლიენტისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება რაიმეს გამორჩენის მიზნით. ეს ნდობის ფაქტორს მნიშვნელოვნად ზრდის და ადამიანთა დიდი ნაწილი დღეს კერძო ადვოკატებზე მეტად უკვე ჩვენ გვენდობა“. - ამბობს იგი.

გელა სიორდია ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი დაარსების დღიდან - 2007 წლიდან მუშაობს. 25 წლისა იყო, როცა ყველაფერი დაიწყო. თვლის, რომ მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყო, მაგრამ ძალიან გულწრფელი და ერთადერთი მოტივაცია ჰქონდა: „კარგი საქმის კეთების სურვილი მქონდა მხოლოდ. ეს ის ასაკია, როცა მოჭარბებულად გინდა ბევრი სიკეთე აკეთო. ვიფიქრე, რომ ჩემი სურვილის რეალიზებას ამ საქმით კარგად შევძლებდი. მოტივაცია არ შეცვლილა და არც შეიცვლება, ცხადია. შეიცვალა მხოლოდ ჩემი და ჩემი მეგობრების პროფესიონალური ხედვა, დამოკიდებულებები და საქმისადმი მიდგომა. წლების წინ ვერც ვიფიქრებდით, რომ საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახური სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამართლებრივი დახმარების ძირითადი ორგანო გახდებოდა“.

წარმატებული საქმე

# ადვოკატ ოთარ რუხაძის დახმარებით განსასჯელი თავისუფლების აღკვეთას გადაურჩა

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ბრალდებული გ. მ.-ის ინტერესებს იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი ოთარ რუხაძე იცავდა. განსასჯელს 2 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა. საზოგადოებრივი ადვოკატი გ. მ.-ის გამართლებას ითხოვდა. თუმცა, იქვე იმასაც ასაბუთებდა, რომ, განსასჯელის პიროვნებიდან გამომდინარე, მის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება აუცილებლობას არ წარმოადგენდა. საბოლოოდ, სასამართლომ გ. მ.-ს სასჯელის ზომად განუსაზღვრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით და საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება 1 წლით ჩამოართვა.

**დეტალები ადვოკატ ოთარ რუხაძის წარმატებულ საქმეზე:**

2009 წლის 26 თებერვალს ქ. ვანის რაიონულმა სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე გ. მ.-ს მიმართ. დანაშაული რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის I ნაწილი. აღნიშნული მუხლისათვის გათვალისწინებულია სასჯელის ზომა თავისუფლების აღკვეთა სამი წლის ვადით.

ბრალდების მხარემ სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოითხოვა, რომ განსასჯელ გ. მ.-ს, სასჯელის სახედ განსაზღვროდა თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 6 თვის ვადით.

მე როგორც მისი კანონიერი ინტერესების დამცველი ადვოკატი ვითხოვდი რომ სასამართლოს დაედგინა გამამართლებელი განაჩენი. თუმცა აგრეთვე ვაცხადებდი, რომ გ, მ.-ს პიროვნებიდან გამომდინარე მის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება არ წარმოადგენდა აუცილებლობას.

საბოლოოდ სასამართლოს მიერ სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით და 1 წლით ჩამოერთვა საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება.

# გასული წელი იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროში

2009 წლის განმავლობაში ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 1937 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 98 არასრულწლოვანის ინტერესის დაცვა. ბიუროს კონსულტანტმა სამართლებრივი კონსულტაციები 507 მოქალაქეს გაუწია და 75 სამართლებრივი დოკუმენტი შეადგინა.

2009 წელს ბიუროს იურისტებმა გასვლითი კონსულტაციები ქუთაისში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილებისათვის მოაწყვეს. გარდა ამისა, იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა სამართლებრივ საკითხებზე ლექცია ქუთაისის №9 საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ჩაატარეს. ბიუროს ბაზაზე იურიდიული კლინიკა ფუნქციონირებს. პროექტის ფარგლებში 2009 წლის პირველ ნახევარში სტაჟირება ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრატურის სტუდენტების პირველმა ნაკადმა გაიარა. 2009 წლის ნოემბრიდან კი ბიუროში სტაჟირებას ამავე უმაღლესი სასწავლების სამართლის მაგისტრატურის სტუდენტთა ახალი ნაკადი აგრძელებს.

აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურომ სხვადასხვა სემინარს და ღონისძიებას, მათ შორის, სტაჟიორთა იმიტირებულ სასამართლო პროცესსაც უმასპინძლა. გარდა ამისა, ბიუროს იურისტებმა მონაწილეობა მიიღეს აქციაში „ანგარიში ხალხს“ და ბიუროს საქმიანობა ქუთაისის მოსახლეობას გააცნეს.

Published with financial support of the United Nations Development Programme (UNDP)
The views expressed in this publication are those of the authors and do not necessarily represent those of the United Nations or UNDP.
გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.
წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ ასახავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

იურიდიული დახმარების სამსახური

გამოცემა მომზადებულია მედიის განვითარების ფონდის მიერ